

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები ქართული, როგორც მეორე ენა

1. რომელია ანტონიმური წყვილი?

ა) განიერი - ფართო. ბ) მოხუცი - ბებერი. გ) მწარე - ტკბილი. დ) სწრაფი - ჩქარი.

2. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

ცოტა . . . ეს პრობლემა მეგობრების დახმარებით მოვაგვარე.

ა) მონაკვეთში. ბ) პერიოდში. გ) საათში. დ) ხანში.

3. ზრდილობიანი ადამიანი არის:

ა) გულმოდგინე. ბ) თავაზიანი. გ) მზრუნველი. დ) ყურადღებიანი.

4. რომელ ნაცვალსახელს აღადგენთ მეორე წინადადებაში?

ჩვენს სკოლას უცხოელი ესტუმრა. ----- ისაუბრა თავისი ქვეყნის შესახებ.

ა) ის. ბ) მან. გ) მას. დ) მის.

5. რომელი სიტყვის ფორმაა არასწორი?

ა) ამხანაგის. ბ) მასწავლებლის. გ) მეგობარის. დ) მშობლის.

6. რომელი ზმნაა გამოტოვებული წინადადებაში?

ამ თემაზე ჩვენი კლასი პრეზენტაციას ხვალ . . .

ა) გამართა. ბ) გამართავს. გ) მართავდა. დ) მართავდეს.

7. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) გივი ახალ ბინას ლევანთან ერთად არემონტებს.
ბ) დედა და შვილი დილაობით ბაღში სეირნობს.
გ) მერაბი და მზია სადამოლობით კროსვორდს ავსებენ.
დ) მოსწავლეები პრობლემებს ერთად განიხილავენ.

8. რომელი შესიტყვებაა არასწორი?

ა) რთული საკითხი. ბ) რთული საკითხის. გ) რთულ საკითხით. დ) რთულ საკითხს.

9. დაასრულეთ წინადადება: ჩემი უფროსი ძმა კარგად სწავლობს მათემატიკას, მაგრამ . . .

ა) ახალი პროგრამის დაძლევა მაინც გაუჭირდა.
ბ) მასწავლებლის ქებას ხშირად იმსახურებს.
გ) მეცხრე კლასის კურსი ადვილად დაძლია.
დ) ყველა მათემატიკურ კონკურსში იმარჯვებს.

10. რომელ წინადადებაშია გადმოცემული მოქმედების მიზეზი?

- ა) გიორგიმ თბილად ჩაიცვა, რადგან ძალიან ციოდა.
- ბ) თუ ამინდის პროგნოზს დავუჯერებთ, ხვალ გაწვიმდება.
- გ) ჩემი ქოლგა წაიღე და ისე წადი, რომ არ დასველდე.
- დ) წელს შემოდგომა განსაკუთრებით თბილი იყო.

11. სად მიმდინარეობს საუბარი?

- გამარჯობა, ხომ არ იცით, სად არის საცურაო აუზი?
- როგორ არა. აქედან ერთი გაჩერებაა.
- ქვემოთ უნდა წავიდე?
- დიახ, გაუყევით გზას და 2-3 წუთში იქ იქნებით.
- მეორე მხარეს ხომ არ უნდა გადავიდე?
- არა, ქუჩის ამ მხარეს იარეთ.

- ა) ავტობუსში. ბ) მეტროში. გ) სტადიონზე. დ) ქუჩაში.

12. წაიკითხეთ განცხადება.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით სკოლის ქართული ენის წრე აწყობს კონკურსს კალიგრაფიაში. მსურველები უნდა გამოცხადდნენ სკოლის საკონფერენციო დარბაზში 14 აპრილს 3 საათზე.

გამარჯვებული მოსწავლე კალიგრაფიის რესპუბლიკურ ტურში მიიღებს მონაწილეობას. მე-17 სკოლის დირექცია.

რა მიზნით ტარდება კონკურსი?

- ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობის დასადგენად.
- ბ) რესპუბლიკურ ტურში მონაწილე კანდიდატთა დასაჯილდოებლად.
- გ) სკოლაში ქართული ენის დღის საზეიმოდ აღსანიშნავად.
- დ) სკოლაში ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად.

13. რომელი წინადადებაა გამოტოვებული ტექსტში?

ავტომანქანა სწრაფი და კომფორტული ტრანსპორტია. დღეს მისი რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ----- . ეს პრობლემა განსაკუთრებით ძველ ქალაქებში იჩენს თავს.

- ა) ამის გამო ადამიანებს მოსწონთ მანქანით გადაადგილება.
- ბ) ამის გამო დიდ ქალაქებში ქუჩები სულ გადატვირთულია.
- გ) თუმცა ბევრი ქარხანა აწარმოებს ახალი მარკის მანქანას.
- დ) ქალაქებში ბევრი სატრანსპორტო მაგისტრალია.

14. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს ორი ტექსტი. გაარკვიეთ, რომელი ინფორმაციაა საერთო ორივე ტექსტისათვის.

1. „ეტალონი“ შემეცნებითი გადაცემაა, რომელიც დილის საათებში გადის ეთერში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნის პოპულარიზაციას, გამოავლინოს და წახალისოს ყველაზე ინტელექტუალური ახალგაზრდები. მასში მონაწილეობენ ქვეყნის ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლეები.

2. ყოველ შაბათს 11-დან 13 სთ-მდე ტელევიზიით გადის ბავშვებისათვის უსაყვარლესი გადაცემა „ასფურცელა“. აქ ზღაპრების კითხვის გარდა ბავშვებს სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს სთავაზობენ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან ერთად ხორციელდება პროექტი – „თეატრალური წრე“, რომლის ფარგლებში საახალწლოდ დაიდგმება „პიტერ პენი“.

- ა) ორივე გადაცემა თეატრს ეძღვნება.
- ბ) ორივე გადაცემა ლიტერატურას ეძღვნება.
- გ) ორივე გადაცემა სამეცნიერო ხასიათისაა.
- დ) ორივე გადაცემა შემეცნებითი ხასიათისაა.

15. რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას ეს ტექსტი?

სიტყვა ლილიპუტი ძალიან პატარა ტანის ადამიანს ნიშნავს. ეს სიტყვა თავდაპირველად გამოიყენა ინგლისელმა მწერალმა ჯონათან სვიფტმა თავის რომანში „გულივერის მოგზაურობა“. ასე უწოდა მან ფანტასტიკური ქვეყნის – ლილიპუტიის – ციცქნა მცხოვრებლებს. შემდგომში ეს სახელი გავრცელდა და დამკვიდრდა სხვადასხვა ენაში როგორც ზომით ძალიან პატარა ადამიანის სახელწოდება.

- ა) ერთი სიტყვის წარმოშობის შესახებ.
- ბ) ინგლისელი მწერლის ბიოგრაფიის შესახებ.
- გ) სხვადასხვა ენის ნათესაობის შესახებ.
- დ) ჯონათან სვიფტის მოგზაურობის შესახებ.

პასუხები: 1. გ); 2. დ); 3. ბ); 4. ბ); 5. გ); 6. ბ); 7. ბ); 8. გ); 9. ა); 10. ა); 11. დ); 12. გ); 13. ბ); 14. დ); 15. ა).